ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**31-31222997**
თარიღი: **26/10/2022**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილის გიორგი გოგუაძის 2021 წლის 3 დეკემბრიდან დღეის მდგომარეობით გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენის

ოქმი

მუნიციპალიტეტის დასახელება: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

ადმინისტრაციული ერთეული: ლანჩხუთი. სხდომათა დარბაზი.

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 21. 10. 2022 წელი 13:00 საათი

შეხვედრას ესწრებოდნენ: საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე **კახაბერ ასკურავა,** საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე **გიორგი გოგუაძე**, საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მდივანი **ირმა მგელაძე,** საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი **გივი ცინცაძე,** საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი **ნიკოლოზ კოზანაშვილი,** საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში **ლაშა სარჯველაძე,** საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი: **ცირა ბზეკალავა,** საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ნინო ჭანტურიშვილი.**

საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე **გიორგი გოგუაძე** შეხვდა ლანჩხუთის რაიონის მოსახლეობას. ანგარიშის წარდგენამდე ის მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა მობრძანებისთვის, რომ გამონახეს დრო მასთან შესახვედრად. ამის შემდეგ აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი - საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის თანახმად საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილემ **გიორგი გოგუაძემ** წარმოადგინა 2021 წლის 3 დეკემბრიდან დღემდე მის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში. მან აღნიშნა, რომ უფლებამოსილებას შეუდგა 2021 წ. 4 დეკემბერს. არის ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე, ასევე, საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი. ამ დროისთვის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა საკრებულოს 14 სხდომა, სადაც მის მიერ დასმული იქნა 30 საკითხი და არ გათვალისწინებულა არც ერთი.

გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, რომ 2021 წლის ადგილობრივ არჩევნებში ნაციონალურმა მოძრაობამ 4000 ხმა მიიღო ლანჩხუთის რაიონში, რაც ხალხის გვერდში დგომის შედეგია და საკრებულოში ისინი წარმოდგენილი არიან 4 ადამიანის შემადგენლობით. ის მოხარულია, რომ ბოლო წლების განმავლობაში ნაციონალურ მოძრაობას მისი ფრაქცია არ ჰქონდა, სულ იყო გაერთიანებული ფრაქცია, დღეს კი აქვთ ფრაქცია, სადაც თითოეულ წევრს განაწილებული აქვთ თავიანთი ფუნქციები და ამავდროულად არიან სხვადასხვა კომისიის წევრები. **გიორგი გოგუაძემ** ისაუბრა იმის შესახებ, რომ კომისიის თავმჯდომარეები არიან მხოლოდ „ქართული ოცნების“ შემადგენლობიდან და აქვთ საკმაოდ მაღალი ანაზღაურება. სულ საკრებულო შედგება 27 ადამიანისგან და აქედან 20 არის „ქართული ოცნების“ დეპუტატი და 7 ოპოზიციური პარტიებიდან. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ „ქართული ოცნების“ 20 წევრიდან 16 არის თანამდებობის პირი და და რომ „ქართული ოცნების“ ფრაქციის თავმჯდომარეს ჰყავს 6 მოადგილე. **გიორგი გოგუაძემ** განუმარტა მოსახლეობას, რომ მათ შეუძლიათ დაესწრონ ფრაქციის სხდომებს და გაეცნონ პარტიის მუშაობას.

ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილემ ასევე ისაუბრა იმის შესახებ, რომ იყო სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის წევრი, მაგრამ გარკვეული პირობების გამო მას მოუხდა ამ კომისიის დატოვება.

გიორგი გოგუაძემ თქვა, რომ არის ანტიკორუფციული ბიუროს წევრი და მათთან სტუმრად მისულ ლევან ხაბეიშვილს იმის საშუალება არ მიეცა, რომ ოფისში შესულიყვნენ სტუმრები, რადგან საკრებულოს თანამდებობის პირები თავს დაესხნენ მათ, შექმნეს ისეთი პრობლემა, რაც არ მომხდარა 30 წლიანი ლანჩხუთის საკრებულოს ისტორიაში.

გიორგი გოგუაძემ ასევე ისაუბრა იმასთან დაკავშირებით, რომ იყო 2014-2017 წლების წინა მოწვევის საკრებულოს წევრი. მაშინაც ძალიან აქტიური და და დღესაც ძალიან წონადი შემადგენლობით არიან წარმოდგენილი საკრებულოში. მან ისაუბრა იმის შესახებ, რომ როცა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“იყო ხელისუფლებაში 5 წლის განმავლობაში 25000000 ლარი დაიხარჯა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაში, რომ მაშინ იყო ქვეყნის შენება და ფულის მოძიებაც იყო პრობლემა. ახლა წელიწადში 25000000 ლარი იხარჯება, მხოლოდ შიდა გზებზე 3000000 ლარია დახარჯული, რაც საკმაოდ დიდი თანხაა და ამ 25000000 ლარიდან 16000000 ლარი არის ევროპის განვითარების ფონდიდან დახარჯული და 9000000 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

გიორგი გოგუაძემ ისაუბრა პრემიერის ინიციატივაზე, რაც სოციალურად დაუცველთა დასაქმებას გულისხმობს და აღნიშნა, რომ ეს არის მოგონილი თემა. დასაქმებულებს, რომლებსაც 300 ლარი ერიცხებათ, არა აქვთ საჭირო ინვენტარი, არც ტექნიკა და საწვავი. მუნიციპალიტეტს შეუძლია 600 ადამიანის დასაქმება ამ პროგრამით, რაც თვეში 180000 ლარია და წელიწადში 2160000 ლარი. აღნიშნული პროგრამით სულ საქართველოში 55000 ადამიანია დასაქმებული, რაც თვეში 16500000 ლარია და წელიწადში 200000000 ლარი. მისი აზრით ამ თანხით შეიძლებოდა დაახლოებით 20 საწარმოს გახსნა, სადაც დასაქმდებოდა მინიმუმ 200 ადამიანი.

გიორგი გოგუაძემ ისაუბრა იმ საკითხთან დაკავშირებით, რაც რუსეთის რესპუბლიკიდან ადამიანთა მიგრაციას შეეხება და აღნიშნა, რომ 400000 ადამიანი გამოვიდა რუსეთიდან და მისი მოსაზრებით ეს არის ძალიან საშიში თემა.

ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილემ სთხოვა მოსახლეობას, რომ როცა შემოვა 2023 წლის ბიუჯეტი, გააკეთონ მსგავსი შეხვედრა და ერთად განიხილონ ლანჩხუთის

ბიუჯეტი. მან აღნიშნა, რომ სხვადასხვა ინიციატივა, რამდენიც ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ იქნა სხდომებზე დაყენებული, იმდენი არც ერთ ფრაქციას არა აქვს.

გიორგი გოგუაძემ ასევე ისაუბრა იმასთან დაკავშირებით, რომ ბევრ ა(ა)იპ-ში დასაქმებულია იმაზე მეტი ადამიანი, რაც რეალურად არის საჭირო და ამ მხრივ ბევრგანაა დაულაგებელი სიტუაცია.

ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილემ აღნიშნა, რომ 2019 წლის სახელმწიფო აუდიტის დასკვნაში არის 15 რეკომენდაცია ჩამოწერილი, რაც აუცილებლად გასათვალისწინებელია.

გიორგი გოგუაძემ აგრეთვე ისაუბრა საწვავის ფასების ზრდაზე და აღნიშნა, რომ თუ ადამიანს უორმაგდება ხარჯები, რაც ფასების ზრდით არის გამოწვეული, ეს არის ხელისუფლების დანაშაული და დასძინა, რომ დღევანდელი ყოფა არის ძალიან მძიმე და რომ ივანიშვილის პოლიტიკამ დააშინა ხალხი, რადგან ადამიანები ხმას ვერ იმაღლებენ ამ ყველაფერზე.

გიორგი გოგუაძემ ასევე აღნიშნა, რომ ლანჩხუთის ბაზარი გაიყიდა პირობიანი აუქციონით, რომ გაუმჯობესებულიყო სიტუაცია, მაგრამ არაფერი არ შეცვლილა და ბაზარი ისევ უფუნქციოდაა. მან ასევე აღნიშნა, რომ ქალაქის ცენტრში არ არის საპირფარეშო და ესეც ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა. ასევე პრობლემაა საყანე ფართობებამდე მისასვლელი გზა, რომელიც იმდენად მოუწესრიგებელია, რომ მოსახლეობას შემოვლითი გზით უწევს დანიშნულების ადგილზე მისვლა და ამ ყველაფერს ემატება ისიც, რომ ყანას შეესია საქონელიც.

გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, რომ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 600000 ამომრჩეველი ჰყავს, მაგრამ ხალხი მასიურად გაედინება საქართველოდან გაუსაძლისი პირობების გამო.

ამის შემდეგ **გიორგი გოგუაძემ** მოსახლეობას მიმართა თხოვნით, რომ მიეწოდებინათ ინფორმაცია, როგორც ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული, ასევე პირადი პრობლემების შესახებ.

სოფელ ხაჯალიას მკვიდრმა, **გულიკო რობაქიძემ** ისაუბრა იმის შესახებ, რომ სოფელში არ არის წყალი, გაზი, ინტერნეტი. არა აქვთ მაღაზია და ითხოვა ამ პრობლემების დროულად მოგვარება.

ადგილობრივმა მოსახლეობამ მადლობა გადაუხადა საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილეს თანადგომისა და ყურადღებისთვის. **გიორგი გოგუაძის** თქმით, როგორც საკრებულოს წევრი, ძალ-ღონეს არ დაიშურებს, რათა მისი სადეპუტატო უფლებამოსილების პერიოდში შეძლებისდაგვარად გადაწყდეს ყველა ის პრობლემა, რომელიც აწუხებს მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, აქტიურ მუშაობას გააგრძელებს, რათა მომდევნო წელი უფრო წარმატებული და ნაყოფიერი იყოს ადგილობრივი მოსახლეობისთვის.

პატივისცემით,

გიორგი გოგუაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-
საკრებულოს ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"მოადგილე